

შ.პ.ს. „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“

ქ. თბილისი

18 ივნისი 2021 წელი

**შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ მიერ 2021 წლის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში ფიზიკური მახასიათებლების კონტროლის ხელსაწყოების შესყიდვის მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი № 1**

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:

ლაშა კილაძე - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ გენერალური დირექტორი;

კომისიის წევრები:

გური მენაბდიშვილი - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის მოადგილე;

ნინო ჭეიშვილი - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი;

სამსახურებრივი მივლინების გამო სხდომას არ ესწრებოდა ვახტანგ კაზაზიშვილი - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ავადმყოფობის გამო სხდომას არ ესწრებოდა დავით ზურაბაშვილი - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის მოადგილე;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

ნანა გოგინაშვილი - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

დღის წესრიგი

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ მიერ 2021 წლის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში ფიზიკური მახასიათებლების კონტროლის ხელსაწყოების შესყიდვის მიზნით სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა/დამტკიცება.

სატენდერო კომისიამ განიხილა და მოიწონა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ მიერ 2021 წლის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში დეტექტორების (CPV38431000) შესყიდვის მიზნით კომისიის აპარატის მიერ შემუშავებული სატენდერო დოკუმენტაცია. აღინიშნა, რომ აღნიშნული საქონლის შესყიდვის მიზნით ერთხელ უკვე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი **SPA210001446**, რომელიც არ შედგა. კომისიის გადაწყვეტილებით სატენდერო დოკუმენტაციის ყველა პირობა დარჩა უცვლელი, კერძოდ შესყიდვის საერთო სავარაუდო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით 8000.00 (რვა ათასი) ლარი. ასევე უცვლელი დარჩა მოწოდების ვადა ერთიანად ან ეტაპობრივად, 30 კალენდარული დღის ვადაში. პროექტით განსაზღვრულია შესყიდვის ობიექტთან და ტექნიკურ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახეობა და წარმოდგენის ვადა.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ მიერ 2021 წლის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში დეტექტორების (CPV38431000) შესყიდვის მიზნით კომისიის აპარატის მიერ შემუშავებული სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს **8000.00 (რვა ათასი) ლარით** დღგ-ს ჩათვლით.

3.შესყიდვის სპეციფიკურობის გათვალისწინებით პროექტში საკონტაქტო პირად დამატებით განისაზღვროს ცენტრის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის და ადმინისტრირების განყოფილების უფროსის მოადგილე ლევან ხუცაიძე.

4.დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს უზრუნველყოს დეტექტორების შესყიდვის მიზნით, ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონული ტენდერის გამოცხადება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე: ლაშა კილაძე -



კომისიის წევრები:

გური მენაბდიშვილი -



ნინო ჭეიშვილი -



სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ნ. გოგინაშვილი - ნ. გოგინაშვილი